მარიანა ქევხიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ/მკვლევარი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო სიტყვა

პრეზიდენტის ინაუგურაცია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცერემონიაა. აქ წარმოთქმულ საინუგარაციო სიტყვას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. პრეზიდენტის გზავნილები ხალხისადმი ისტორიაში რჩება და შეგვიძლია წლების შემდეგ შევაფასოთ, თუ როგორ შეასრულა პრეზიდენტმა თავისი დაპირებები. სტატიაში სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო სიტყვა ეპიდეიქტიკური რიტორიკის მახასიათებლების ფარგლებშია განხილული. (1) საინაუგურაციო მიმართვა აუდიტორიას აერთიანებს „ერად, ხალხად“, რომელმაც პრეზიდენტის უფლებამოსილების აღიარება უნდა მოახდინოს; (2) იმეორებს წარსულის ღირებულებებს, როგორც ერის ტრადიციების წყაროს; (3) აყალიბებს იმ პოლიტიკურ პრინციპებს, რომლითაც ახალმა ადმინისტრაციამ უნდა იხელმძღვანელოს; (4) ხაზს უსვამს საკუთრივ პრეზიდენტის ინსტიტუტის პასუხისმგებლობას.

საკვანძო სიტყვები: საინაუგურაციო სიტყვა, პრეზიდენტი, ეპიდეიქტიკური რიტორიკა, საქართველო.

შესავალი

პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები განსაკურებული მნიშვნელობით გამოირჩევა. როდესაც ახლად არჩეული პრეზიდენტი ფიცს დებს, ის აფასებს როგორც არსებულ მდგომარეობას, ასევე წარმოადგენს სამომავლო ხედვებსაც. ყოველი საინაუგურაციო

სიტყვა ისტორიას რჩება და შესაძლებელია იმის შეფასება, რამდენად შეასრულა პრეზიდენტმა თავისი დანაპირებები (მაცაბერიძე, 2007, გვ. 4).

პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვა საზოგადოების ფართო განსჯის საგანი ხდება. მასში გადმოცემულია ახლადარჩეული პრეზიდენტის სამომავლო გეგმა, მისი პრინციპები და ღირებულებები. საინაუგურაციო სიტყვისთვის დამახასიათებელია საზეიმო ელფერი, მეტაფორებით საუბარი, მასში არაფერია ისეთი, რაც პოლემიკას გამოიწვევს. საინაუგურაციო სიტყვაში წარსული და მომავალი გააზრებულია არსებული მდგომარეობის კონტექსტში, ხაზგასმულია ის საკითხები, რაც ხალხს გააერთიანებს (Rush, 2017).

საინაუგურაციო მიმართვები არის საზეიმო მიმართვები, დაფუძნებული ისეთ რიტორიკულ საკითხებზე, როგორიცაა საზოგადოებრივი სათნოება და მანკიერება, ისინი მიუთითებენ პრეზიდენტის ფუნდამენტურ ღირებულებებზე, რომ საზოგადოება უნდა განვითარდეს. მაგრამ მაინც საინაუგურაციო სიტყვები, ის სიტყვებია სადაც პოლიტიკის მნიშვნელობა მეორეხარისხოვანია ღირებულებებისა და სურვილების მიმართ. (Windt, 1986, p. 104) პრეზიდენტი ახდენს ერის საერთო ღირებულებებისა და გრძნობების გამოცოცხლებას (WAUDAG, 1990, p. 189).

პრეზიდენტის მიმართვა არის ერთმიმართულებიანი სიტყვა, რომელსაც პრეზიდენტი მიმართავს აუდიტორიას. და რომელსაც იმწუთიერი უკუკავშირი არ აქვს აუდიტორიისგან (Chung & Park, 2010) და ეს არის ახლად არჩეული პრეზიდენტისთვის პირველი შესაძლებლობა რომ განსაზღვროს თავისი პოლიტიკა და საკუთარი როლი ამ პოლიტიკის განხორციელებაში (Korzi, 2004).

პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვა წარმოადგენს ეპიდეიქტიკურ რიტორიკას. არისტოტელეს აზრით, ეს არის სეფე სიტყვა, რომელიც საზეიმო ვითარებაშია წარმოთქმული, ის ამაღლებული სტილის სიტყვაა და მასში მრავლადაა კონოტაციური და სუპერ ლატიური ხერხები (მაისაშვილი, გვ. 30).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე საქართველოში 7 საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ამ ხნის განმავლობაში მოსახლეობამ სულ 5 პრეზიდენტი აირჩია. საინაუგურაციო ცერემონიაც შესაბამისად შვიდჯერ ჩატარდა საქართველოში სხვადასხვა ადგილზე.

სრულიად განსხვავებულად ჩატარდა საქართველოს მეხუთე და ამომრჩევლების მიერ პირდაპირი წესით არჩეული ბოლო პრეზიდენტის ინაუგურაცია. 2018 წლის 16 დეკემბერს ინაუგურაცია ქალაქ თელავში გაიმართა, სადაც სალომე ზურაბიშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებში წააგო. აქ მოქმედი და ახლად არჩეული პრეზიდენტი ერთმანეთს შეხვდნენ და ძალაუფლება მშვიდობიანად გადააბარეს.

სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო გამოსვლა 1404 სიტყვისგან შედგებოდა. დამსწრე საზოგადოებამ მას სიტყვა ტაშით 32-ჯერ შეაწყვეტინა. მის სიტყვაში ყველა მთავარი საკითხია გადმოცემული, რომელიც აქტუალურია დღეს საქართველოში. ესენია: მოქალაქის უფლებები, კანონის უზენაესობა, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, სოლიდარობა, პოლიტიკური კულტურის ამაღლება, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, ევროპასთან ინტეგრაცია და აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცება, რეგიონების გათანაბრება დედაქალაქთან, ემიგრანტების დაბრუნება, ქართული ცივილიზაციის, კულტურისა და იდენტობის გაცნობა საერთაშორისო დონეზე, განათლება, ქალთა უფლებები, ოკუპირებული ტერიტორიები და დევნილთა დაბრუნების საკითხი, აფხაზ და ოს ხალხთან დაახლოების საკითხი, უსაფრთხოება, თავდაცვისუნარიანობა, ჯარი, საქართველოს როლი კავკასიის რეგიონში. ახალგაზრდობის როლი ქვეყნის განვითარებაში.

თეორიული ჩარჩო

თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია კ. კემპბელისა (Campbell) და კ. ჯეიმისონის (Jamieson) კვლევა. ავტორები ნაშრომში „Inaugurating The Presidency" საინაუგურაციო სიტყვას განიხილავენ ეპიდეიქტიკური რიტორიკის კონტექსტში.[1] ისინი წლების განმავლობაში იკვლევდნენ აშშ-ის პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვებს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყველა საინაუგურაციო სიტყვას აქვს ოთხი საერთო პრინციპი. სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო სიტყვაც სწორედ ამ კონტექსტშია გაანალიზებული.

ეპიდეიქტიკური რიტორიკის მთავარი მახასიათებლები, რომლებიც ურთიერთ კავშირშია, განასხვავებს ინაუგურაციის სიტყვას ამ რიტორიკის სხვა ტიპებისგან. საინაუგურაციო სიტყვა აუდიტორიას აერთიანებს ერთ სიტყვაში ერი, „ხალხი", რომელიც აღიარებს და ამ ცერემონიის რატიფიცირებას ახდენს; იმეორებს წარსულის საერთო ღირებულებებს; სიტყვაში ჩამოყალიბებულია პოლიტიკური პრინციპები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ახალმა ადმინისტრაციამ; ასევე პრეზიდენტი გადმოსცემს საკუთარ შესასრულებელ საკითხებს და ამ თანამდებობის პასუხისმგებლობას იღებს. ეს ოთხი პრინციპი, რომელიც პრეზიდენტების ყველა სიტყვაში გვხვდება შესაბამისობაში მოდის ეპიდეიქტიკურ რიტორიკასთან (Campbell & Jamieson, Inaugurating the Presidency, 1985). პრეზიდენტის მიერ ჯერ ქმედების განხორციელება ვერ ხერხდება, მას ჯერ არ მისცემია საშუალება თავისი დაპირებები შეასრულოს. მას

[1] ეპიდეიქტიკური რიტორიკა-რიტორიკის სამ სახეობათაგან ერთ-ერთია, რომელიც არისტოტელესეული დაყოფიდან მოყოლებული (Arist. Ars Rhetorica, I,3,1358b) გავრცელებული იყო რიტორიკის ელინისტურ და ბიზანტიურ თეორიებში. აღნიშნავს საჩვენებელ, სადღესასწაულო სიტყვას, რომელიც, იგულისხმება, რომ სულისათვის მარგებელ შინაარსს არ შეიცავს და მხოლოდ გარეგნული საჩვენებელი რიტორიკული სამკაულებით იმოსება. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=14288

ამ ეტაპზე მხოლოდ საუბარი შეუძლია იმაზე, თუ რას გააკეთებს და როგორი იქნება მისი პრეზიდენტობის პერიოდი. აქედან გამომდინარე, ის ცდილობს ღირებულებების და ტრადიციების გაგრძელებას წარსულიდან აწმყოს შეფასების კონტექსტში, რათა დახატოს მომავლის სურათი. ამრიგად ხდება ახლად არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის ძალაუფლების ლეგიტიმაცია, ღირებულებების გაცხადება და ახალი მმართველობის ფორმის ჩამოყალიბება.

ერის, ხალხის გაერთიანება

სანამ აუდიტორიას შეუძლია დაემოწმოს და პრეზიდენტის ძალაუფლების რატიფიცირება მოახდინოს, ის წარმოდგენილია, როგორც ერი (Campbell & Jamieson, Inaugurating The Presidency, 1985, p. 398). საინაუგურაციო სიტყვებში ხაზგასმულია ხალხის დამსახურება ქვეყნის წინაშე. სწორედ ხალხის მიერ ლეგიტიმაცია სჭირდება ახალ არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილებას. მათ უნდა მიიღონ და აღიარონ პრეზიდენტი, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი დამსახურებების აღნიშვნა და წახალისება.

სალომე ზურაბიშვილის სიტყვაში აქტიურადაა ჩართული მიმართვა ხალხისადმი და მათი დამსახურებების აღნიშვნა. მისალმების შემდეგ, ისიც აღნიშნავს, რომ *„პატივს ვცემ მათ, ვინც ხმა არ მომცა. ისიც ვიცი, რომ სხვადასხვა პარტიას აქვს განსხვავებული პოზიცია, თუნდაც, ჩემი პრეზიდენტად აღიარებასთან დაკავშირებით“* (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019) და თავს ყველას პრეზიდენტად აცხადებს.

“ჩვენ წლები დავკარგეთ პოლიტიკურ დაპირისპირებაში. მე, პირველ რიგში, თავად მივცემ მაგალითს ჩემს თანამოქალაქეებს და დავარწმუნებ მათ, რომ საქართველოს განვითარებისა და გამთლიანებისთვის ეროვნული თანხმობა არის არსებითად მნიშვნელოვანი.” (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019) ზურაბიშ-

ვილი მოქალაქეებს თავის წილ პასუხისმგებლობას აკისრებს: „*საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევაში მნიშვნელოვანი პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია თითოეულ მოქალაქეს, თავისუფალ მედიასა და არასამთავრობო სექტორს*“ (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019).

თავისი პრიორიტეტული საკითხების ჩამოთვლისას, ასევე ხაზი გაუსვა მოქალაქეების ჩართულობას. „*ახალ კონსტიტუციაში ასახულია ქართველი ხალხის ნება - საქართველოს შეუფერხებელი სვლა ევროკავშირისა და ნატოსკენ*“ და „*ქართველებს შეგვიძლია, მსოფლიოს გამოვადგეთ უძველესი, მდიდარი, თვითმყოფადი კულტურით, რომელიც ქრისტიანობაზე დგას. ქართულ ცივილიზაციას თამამად შეუძლია, დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში*“ (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019) *ჩვენს მოსახლეობას სჭირდება მეტი ყურადღება და გაზრდილი უსაფრთხოება.*

ამდენად, ხალხის ჩართულობა და მათთვის მნიშვნელოვანი მისიის დაკისრება პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვაში მკვეთრად გამოხატულია. ერი სრულუფლებიანი მონაწილეა ახალი პრეზიდენტის ძალაუფლების აღიარებისა.

წარსულის გამოყენება

პრეზიდენტმა უნდა აჩვენოს, რომ წარსული ტრადიციები მისი პრეზიდენტობის დროსაც გაგრძელდება. მან უნდა დაადასტუროს რომ უცვლელად განაგრძობს პრეზიდენტის გზას წარმატებისკენ. წარსულის მაგალითების მოშველიებით პრეზიდენტები აფასებენ დღევანდელ ვითარებას და სამომავლო პერსპექტივებსაც სახავენ (Campbell & Jamieson, Inaugurating The Presidency, 1985, p. 399).

სალომე ზურაბიშვილმა წარსულზე საუბარს საკმაოდ დიდი დრო დაუთმო, გაიხსენა საბჭოთა ოკუპაციის პერიოდი და თავისი,

როგორც ემიგრაციაში დაბადებულის გაპრეზიდენტების კონტექსტში განიხილა. *"ძალიან ნიშანდობლივია, რომ სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობის აღდგენის ასი წლისთავს ვზეიმობთ, მე, ემიგრაციაში დაბადებული, გავხდი საქართველოს პრეზიდენტი. ამით შეიკრა ერთგვარი წრე: რუსეთის მეთერთმეტე არმიის შემოსევისა და საბჭოთა ოკუპაციის შედეგად წასული ემიგრაციის შთამომავალი, დღეს, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით, დამოუკიდებლობის დამცველად და უმაღლეს მთავარსარდლად ვბრუნდები"* (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019).

ამის შემდეგ ის კვლავ აგრძელებს წარსული ისტორიის გახსენებას და ამჯერად უკვე ხსნის ინაუგურაციის ქალაქ თელავში გამართვის მიზეზებს. "*ეს ადგილი ქართველი ერისთვის, ერთგვარად, ისტორიული მეხსიერების ბარათია: მეფე ერეკლე იბრძოდა ქვეყნის განვითარებისა და ერთიანობისთვის; აქ, თელავში, დაიმსხვრა მეფე ერეკლეს გეგმები, რომლებიც უკავშირდებოდა თანამედროვე სახელმწიფოს შექმნას, ახალი სტანდარტების დამკვიდრებას, ქვეყნის ევროპულ გზაზე დაყენებას."* (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019) პრეზიდენტი შეეცადა ხიდის გადებას წარსულიდან მომავლისკენ. მისთვის ერთერთი პრიორიტეტი ევროპაში „ჩვენი ადგილის დამკვიდრებაა", რასაც ერეკლე მეორის პოლიტიკის გაგრძელებად აცხადებს. სიტყვა „ევროპა" სხვადასხვა ვარიაციით მის მიმართვაში 17-ჯერაა ნახსენები.

წარსულზე საუბრისას ის ასევე იხსენებს წინამორბედ პრეზიდენტებს და მათ დამსახურებებს გამოკვეთს ერის წინაშე.

"ერთი საუკუნის წინ, პირველი რესპუბლიკის მეთაურებმა იმ დროისთვის თანამედროვე და პროგრესული კონსტიტუცია მიიღეს; უდიდესი როლი ითამაშა ზვიად გამსახურდიამ, როცა დანიშნა რეფერენდუმი და მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის

აღდგენის აქტი; ედუარდ შევარდნაძემ პირველმა გაჭრა გზა ევროპული და ევროატლანტიკური სივრცისკენ; მიხეილ სააკაშვილმა თავისი მმართველობის საწყის ეტაპზე საფუძველი ჩაუყარა არაერთ მნიშვნელოვან რეფორმას; გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გადაიდგა ნაბიჯები დემოკრატიული პროცესის გაძლიერებისკენ, გამყარდა სტაბილურობა." (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019) ყოფილი პრეზიდენტების ღვაწლის გამოკვეთის შემდეგ, ის შეპირდა ხალხს, რომ გააგრძელებს სახელმწიფოს განვითარებას.

წარსულ ღირებულებს ის კიდევ ერთხელ ეხება, როდესაც ამბობს, რომ საქართველომ თავისი იდენტობა და კულტურა მსოფლიოს უნდა აჩვენოს. *„ჩვენი იდენტობა, ისტორიულად, ტოლერანტობაში ვლინდება. სხვადასხვა წარმოშობის, მრწამსის ადამიანებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიცია საუკუნეების განმავლობაში მოგვყვება. საქართველო თუნდაც იმით არის ცნობილი, რომ აქ არ არსებობს ანტისემიტიზმის არც ერთი მაგალითი."* (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019) ამ ნაწილშიც პრეზიდენტი ხაზს უსვამს ოდინდელი ტრადიციის გაგრძელების მნიშვნელობას ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სალომე ზურაბიშვილმა საინაუგურაციო სიტყვაში დიდი ადგილი დაუთმო ისტორიული მაგალითების გამოყენებას. ყოველი წარსული ფრაგმენტის გახსენებას ისტორიიდან ის უკავშირებს თავის სამომავლო გეგმებს და ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ეს ღირებულებები მისთვის მნიშვნელოვანია და ის მათ გაგრძელებას აპირებს ქართველ ხალხთან ერთად.

პოლიტიკური პრინციპების ჩამოყალიბება

საინაუგურაციო სიტყვების ეპიდეიქტიკური ხასიათი სწორედ ამ პუნქტში ვლინდება. სიტყვაში გაცხადებული პოლიტიკური თემები მხოლოდ სიტყვად რჩება და რეალურად არ კეთდება, გამოხატავს მხოლოდ პრეზიდენტის პოლიტიკურ ფილოსოფიას (Campbell & Jamieson, Inaugurating The Presidency, 1985, p. 400).

სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო სიტყვაში, მის მიერ ჩამოთვლილ სამომავლო გეგმებთან ერთად, მრავლად არის ეპიდეიქტიკური შინაარსის გზავნილები.

„მე, პირველ რიგში, თავად მივცემ მაგალითს ჩემს თანამოქალაქეებს და დავარწმუნებ მათ, რომ საქართველოს განვითარებისა და გამთლიანებისთვის ეროვნული თანხმობა არის არსებითად მნიშვნელოვანი.“

„ვიზრუნებ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ სამოქალაქო საზოგადოება და ავამაღლოთ პოლიტიკური კულტურა“ (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019).

დასავლურ ინსტიტუტებთან და კერძოდ, ევროპაში ინტეგრაციასთან დაკავშირებით ის ამბობს: *“ჩემი მიზანია, ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ჩვენი სახელმწიფოს განვითარება, მისი ევროპული მომავალი გახდეს შეუქცევადი და ვერაფერმა ვერ შეაფერხოს ჩვენი მთავარი მიზნის მიღწევა. ჩვენ ევროპაში უთუოდ შევალთ და უნდა შევიდეთ ჩვენი ღირებულებებით, იდენტობით, კულტურით”* (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019).

კულტურასა და ტოლერანტობაზე საუბრისას, ის ასევე შემდეგ პრინციპს აცხადებს: „*ჩვენ ეს ტრადიცია ისე უნდა გავაძლიეროთ, რომ გავხდეთ მაგალითის მიმცემი. უნდა გავზარდოთ ქართული კულტურისა და იდენტობის ცნობადობა საერთაშორისო არენაზე“* (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019).

შემდგომ კავკასიის რეგიონზე და აქ პოზიციების განმტკიცებაზე საუბრისას ამბობს: *„ჩვენ უნდა გავხდეთ ამ რეგიონში ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კერა და ამით გავზარდოთ ქვეყნის მიმზიდველობა“* (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019).

აფხაზებთან და ოსებთან შერიგების თემაზე საუბრისას ამბობს: *„უნდა მოვნახოთ ახალ თაობასთან მისასვლელი გზები და მათ გავუკვალოთ გზა ევროპისკენ“* (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019).

სალომე ზურაბიშვილი პირველი ქალი პრეზიდენტია საქართველოს ისტორიაში. თავის სიტყვაში ის ხაზს უსვამს ქალთა უფლებების დაცვას. *„დღესაც, ვდგამთ პროგრესულ ნაბიჯს. ეს არის ნაბიჯი, რომელიც ჯერ კიდევ გამონაკლისია მსოფლიოში, სადაც მხოლოდ 11 ქალია პრეზიდენტი. ამით ვამტკიცებთ, რომ საქართველოში ქალების როლი ძლიერდება და თანასწორობა ჩვენთვის უცხო სიტყვა არ არის.”* (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019)

სიტყვის დასარულს სალომე ზურაბიშვილმა სამომავლო სურვილები გამოაცხადა ქვეყნის დამშვიდებასა და განვითარებაში: *„მთავარია, დავრწმუნდეთ საკუთარ თავში, საკუთარ შესაძლებლობებში და ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენს მომავალზე.“* (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019)

პრეზიდენტის ამ ფრაზებში უბრალოდ გამოთქმულია სურვილები, რომლებიც კარგად მოქმედებს აუდიტორიაზე და მათი შესრულების რეალური გზები შეიძლება არც არსებობდეს. ეს გზავნილები საინაუგურაციო სიტყვას უფრო მომხიბვლელს ხდის ხალხისათვის. ეს ძირითადად ის გზავნილებია, რაც იმ პერიოდის

აწმყოსთვის აქტუალური და მნიშვნელოვანია. პრეზიდენტი ამ პოლიტიკურ ფილოსოფიის ჩამოყალიბებაში ხალხსაც რთავს და მისი ფრაზები მრავლობით რიცხვში, „ჩვენ უნდა გავაკეთოთ“ ფორმატში წარმოითქმება.

პრეზიდენტის ინსტიტუტის ამოქმედება

საინაუგურაციო სიტყვის ამ ნაწილში პრეზიდენტმა უნდა დაამტკიცოს, რომ ნამდვილად ლიდერია და შეუძლია მოქმედება. რომ ის სიმბოლურად ყველას პრეზიდენტია (Campbell & Jamieson, Inaugurating The Presidency, 1985, p. 401). მას შემდეგ, რაც აუდიტორიას ერთიან ერად, ხალხად განსაზღვრავს, ტრადიციულ ღირებულებებსა და ისტორიას მოიშველიებს და საზოგადოებასაც ჩართავს აქტუალური საკითხების მოგვარების სამომავლო პერსპექტივებში, უკვე დგება დრო თავად პრეზიდენტის ინსტიტუტის ამოქმედებისა.

„ყველას პრეზიდენტად“ საკუთარი თავის წარმოდგენის შემდეგ, ჩამოთვლის იმ პრინციპებს, რომელსაც კონკრეტულად, თავად როგორც პრეზიდენტი გააკეთებს: *„მე დავიცავ მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, ვიქნები კანონის უზენაესობის გარანტი; ვიზრუნებ იმისათვის, რომ გავაძლიეროთ სამოქალაქო საზოგადოება და ავამაღლოთ პოლიტიკური კულტურა”* (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019).

პრეზიდენტის უფლებამოსილების განმტკიცების კიდევ ერთი მაგალითია სალომე ზურაბიშვილის განცხადება, როდესაც ის დასავლურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციაზე საუბრობს. *“ჩემი მიზანია, ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ ჩვენი სახელმწიფოს განვითარება, მისი ევროპული მომავალი გახდეს შეუქცევადი და ვერაფერმა ვერ შეაფერხოს ჩვენი მთავარი მიზნის მიღწევა... მე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის - ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპელი მეგობრების დახმარებით ხელს შევუწყობ ამ პრო-*

ცესს" (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019).

ასევე საკუთრივ პრეზიდენტის უფლებამოსილებად მიიჩნევს იყოს თავისი ხალხის გვერდით რეგიონებში. "*მე ჩავალ ყველა რეგიონში, ვიქნები ჩემს ხალხთან!"*

პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი, მთავარსარდლის პოზიციიდან ასევე აკეთებს რამდენიმე განცხადებას ჯართან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

„ჯარის გაძლიერება და ქვეყნის დაცვის უზრუნველყოფა არის ჩემი მიზანი. მე ჩავალ ავღანეთში ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცებთან, რომლებიც ღირსეულად და ზოგჯერ სიცოცხლის ფასად იბრძვიან ჩვენი პარტნიორების გვერდით." (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019).

პრეზიდენტი თანადგომას უცხადებს იძულებით გადაადგილებულ პირებს და პირდება მათ: *"მე ვიქნები ჩვენი დევნილების გვერდით. მე კარგად ვიცი, რაზე დგას მათი ოჯახები - ძალიან დიდ მოთმინებაზე, სიმტკიცეზე და იმედზე! და ეს იმედი გვაერთიანებს!"* (საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე, 2019)

დასკვნა

პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვა საზოგადოების ფართო განსჯის საგანია. როგორც ვხედავთ, მასში გადმოცემულია ახლადარჩეული პრეზიდენტის სამომავლო გეგმა, მისი პრინციპები და ღირებულებები. საინაუგურაციო სიტყვისთვის დამახასიათებელია საზეიმო ელფერი, მეტაფორებით საუბარი, მასში არაფერია ისეთი, რაც პოლემიკას გამოიწვევს. ხაზგასმულია ის საკითხები, რაც ხალხს გააერთიანებს, რაც აქტუალურია იმ პერიოდისთვის. საინაუგურაციო სიტყვაში წარსული და მომავალი გააზრებულია არსებული მდგომარეობის კონტექსტში.

სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო სიტყვაც თავისი თვისებებით სრულად ერგება ეპიდეიქტიკური რიტორიკის ფორმას. ის თავის მიმართვაში მოსახლეობას აერთიანებს „ქართველ ხალხად“, რომელმაც მას მიანიჭა პრეზიდენტის უფლებამოსილება და აღნიშნავს მათ დადებით როლს და დამსახურებას ქვეყნის წინაშე და სამომავლო პასუხისმგებლობასაც აკისრებს.

ინაუგურაციის ქალაქ თელავში გამართვამ მას საშუალება მისცა ესაუბრა ერეკლე მეფის პოლიტიკურ ხედვებზე და პარალელი გაევლო მის მიერ ევროპული სახელმწიფოს შენების მცდელობასთან. პრეზიდენტმა ჩამოაყალიბა თავისი ხედვა პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ხალხის მოწოდებას უფრო გულისხმობს ჩაერთონ ამა თუ იმ აქტუალური და მგრძნობიარე საკითხების მოგვარებაში.

როგორც მთავარსარდალი და პრეზიდენტი, რომელსაც ახალი კონსტიტუციით საკმაოდ შეღუდული უფლებამოსილებები გაჩნია საკმაოდ მკაფიო განცხადებებს აკეთებს თავისი სამომავლო გეგმების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საინაუგურაციო სიტყვა საზეიმო და ცერემონიალური ხასიათისაა, სალომე ზურაბიშვილის მიმართვაში ზუსტი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრინციპებია გაცხადებული; სიტყვა არ შეიცავს მაღალფარდოვან ფრაზებს, რაც წინა პრეზიდენტების სიტყვებში არსებობდა.

Bibliography

Campbell, K., & Jamieson, K. (1985). Inaugurating The Presidency. *Presidential Studies Quarterly*, 394-411. მოპოვებული JSTOR: https://www.jstor.org/stable/27550215-დან. 25.12.2018

Chung, C. J., & Park, H. W. (2010). Textual analysis of a political message: The inaugural addresses of two Korean presidents. 215-239. in: Rush, K. (2017). Influence of the Presidential Inaugural Address on

Audience. Perceptions of Candidate Image and the State of the Nation. Portland. მოპოვებული: https://pdxscholar.library.pdx.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=&https redir=1&article=4815&context=open_access_etds. 25.12.2018

Korzi, M. J. (2004). The president and the public: Inaugural addresses in. *In Congress & the Presidency: A Journal of Capital Studies*, 21-52. in: Rush, K. (2017). Influence of the Presidential Inaugural Address on Audience. Perceptions of Candidate Image and the State of the Nation. Portland. მოპოვებული: https://pdxscholar.library.pdx.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=&https redir=1&article=4815&context=open_access_etds. 25.12.2018

Rush, K. (2017). Influence of the Presidential Inaugural Address on Audience. Perceptions of Candidate Image and the State of the Nation. Portland. მოპოვებული: https://pdxscholar.library.pdx.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=&https redir=1&article=4815&context=open_access_etds. 25.12.2018

WAUDAG. (1990). The rhetorical construction of a President. *Discourse & Society*, გვ. 189-200. მოპოვებული: JSTOR: https://www.jstor.org/stable/42888729-დან. 23.12.2018

Windt, T. (1986). Presidential Rhetoric: Definition of a Field of Study. *Presidential Studies Quarterly*, გვ. 102-116. მოპოვებული: https://www.jstor.org/stable/27550314-დან. 18.12.2018

მაისაშვილი, ხ. (თ. გ.). პოლიტიკური დისკურსის კონტენტანალიზი. თბილისი. მოპოვებული: Academia.edu: https://www.academia.edu/33422183/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1-დან. 21.12.2018

მაცაბერიძე, მ. (2007). *საქართველოს პრეზიდენტების საინაუგურაციო სიტყვები (1991-2004 წ.წ.).* თბილისი: ახალი აზრი. მოპოვებუ-

ლი: საქართველოს პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, მაგისტრატურა: http://www.politscience.info/filemanager/files/magistratura/xelisuleba%20da%20politikuriprocesi/Saunaug-sitkv-2007A5.pdf-დან. 22.12.2018

საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციის ცერემონიაზე. (2019). მოპოვებული: საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი: https://www.president.gov.ge/ka-GE/prezidenti/inauguracia.aspx-დან. 28.12.20

Mariana Kevkhishvil

Salome Zourabichvili's inaugural address

Abstract

Presidential inaugural is a major public-political ceremony. The inaugural adress here has a special importance. President's messages to the people remain in the history and we can evaluete how the President fulfilled its promises. Salome Zourabichvili's inaugural speech is discussed within the scope of the epidemic rhetoric. (1) The inaugural address unify the audience as "the people" ,the nation" who must recognize the authority of the president; (2) rehearse the values of the past as the source of the tradition of the nation; (3) establishes the political principles that the new administration must guide; (4) emphasizes the responsibility of the presidential institution.

Keywords: inaugural address, president, epideictic rhetoric, Georgia